

---

## სამართლებრივი ტენდენციები

### 2001 წლის შემავამებელი ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების განვითარების შესახებ

ლადო ჭანტუაია\*

2001 წლის განმავლობაში საქართველოში მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა მართლმსაჯულების გაუმჯობესების, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

სასამართლო ხელისუფლებაში გატარებული ღონისძიებების განხილვამდე მიზანშეწონილია მოკლედ გაანალიზდეს საქართველოს საერთო სასამართლოების საქმიანობის სტატისტიკური ინფორმაცია, რაც ცხადყოფს საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის დინამიკას. შემდგომ განიხილება 2001 წელს განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და ანალიზის ძირითადი შედეგები, ასევე განიხილება საერთაშორისო თანამშრომლობასა და მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხები. ანგარიშის ბოლო ნაწილი შეეხება საერთო სასამართლოების ადმინისტრირებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს.

#### 1. 2001 წლის სტატისტიკური მონაცემები

2001 წელს საერთო სასამართლოებმა განიხილეს სულ 62.359 საქმე, ანუ 1.450 საქმით ნაკლები 2000 წლის მონაცემებთან შედარებით, მათ შორის: 47.626 სამოქალაქო, 10.361 სისხლის სამართლისა და 4.372 ადმინისტრაციული სამართლის საქმე. წინა წლის სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით, ძირითადად, 4.488 ერთეულით იკლო სამოქალაქო საქმეების რაოდენობამ. რაც შეეხება სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს, მათი რაოდენობა, შესაბამისად 1.882 და 2.187 ერთეულით გაიზარდა.

საერთო სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით განხილულია სულ 56.096 საქმე. აქედან - 43.714 სამოქალაქო, 8.876 სისხლის სამართლისა და 3.506 ადმინისტრაციული სამართლის საქმე. სამოქალაქო საქმეების განხილვის განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდნენ თბილისის რაიონული სასამართლოები, რომელთაც განიხილეს 15.881 საქმე, ანუ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეთა 36,3%.

საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მიერ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განხილულ საქმეთა რაოდენობამ 4.012 შეადგინა, ანუ 1.962 საქმით მეტი, ვიდრე წინა წელს. აქედან, განიხილეს 2.737 სამოქალაქო (1.312 საქმით მეტი), 704 სისხლის სამართლის (258 საქმით მეტი) და 571 ადმინისტრაციული საქმე (392 საქმით მეტი). სააპელაციო წესით საქმეთა განხილვის განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა თბილისის საოლქო სასამართლო, რომელმაც განიხილა 1.921 საქმე, რაც სააპელაციო წესით განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობის 70,2%-ს შეადგენს. ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ განხილულია 540 საქმე, ანუ სააპელაციო წესით განხილულ საქმეთა 19,7%. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა 269 საქმე, ე.ი. 9,8%, ხოლო აფხაზე-

\* უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

## სამართლებრივი ტანდენცია

თის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლომ განიხილა 7 საქმე, ანუ სააპელაციო წესით განხილულ საქმეთა 0.3%.

2001 წელს უზენაესმა სასამართლომ განიხილა სულ 2.325 საქმე, რაც 51 საქმით მეტია 2000 წელთან შედარებით. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა 1.175 საქმე (შარშანდელთან შედარებით შემცირდა 9.0%), ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ — 295 საქმე (შარშანდელთან შედარებით იმატა 34.0%), სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ — 781 საქმე (შარშანდელთან შედარებით იმატა 9.0%), ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ — 74 საქმე (შარშანდელთან შედარებით იმატა 60.9%). აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად იმატა უზენაეს სასამართლოში შემოსულ, პირველი ინსტანციით განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობამ.

მნიშვნელოვანია, რომ 2001 წლის ოქტომბრიდან უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა უკვე შეუდგა განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა განხილვას. დიდი პალატის მიერ დღემდე განხილულ იქნა 3 სამოქალაქო, 2 ადმინისტრაციული და 5 სისხლის სამართლის საქმე.

საკმაოდ ეფექტიანად ამოქმედდა 2000 წელს დანერგილი ახალი სასამართლო სტატისტიკური სისტემა და გაუმჯობესდა საერთო სასამართლოებიდან ინფორმაციათა სათანადო წესით წარმოდგენა. ახალი სტატისტიკური სისტემის დამსახურებაა კორუფციასა და ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის სრულფასოვანი შესწავლა-განზოგადება. გარდა მეთოდოლოგიური მნიშვნელობისა, სასამართლო სტატისტიკური ინფორმაცია არაერთხელ გამხდარა მართლმსაჯულების მიმართ წაყენებული უსაფუძვლო ბრალდებების უარყოფის უტყუარი არგუმენტი, ამიტომ შემდგომშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფილად შედგენას. გასული წლის სასამართლო სტატისტიკური მონაცემები უკვე გამოქვეყნებულია ყოველწლიურ ტრადიციულ კრებულში („მართლმსაჯულება 2001“), რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და იმავდროულად წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და საჯაროობის ერთ-ერთ ნიმუშს.

## 2. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და ანალიზი

2001 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასა და მართლმსაჯულებაში არსებული მდგომარეობის გაანალიზებას. ახალი ელექტრონული სტატისტიკური სისტემის გამოყენებითა და ცალკეული კატეგორიის საქმეთა შესწავლით, უზენაესმა სასამართლომ აქტიურად დაიწყო სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, რის შედეგადაც გამოვლინდა როგორც მართლმსაჯულების, ისე სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები. შესწავლილ იქნა საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის გაჭიანურების საკითხი, უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებული სამოქალაქო დავები, გაკოტრებისა და უდავო წარმოების საქმეები, აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენებისა და კორუფციულ დანაშაულთა სასამართლო პრაქტიკა, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებები, სასამართლოთა ორგანიზაციული მუშაობა და სხვა.

### 2.1 სამეცნიერო ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები

ნიშნდობლივია, რომ 2001 წელს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით შექმნილმა სამეცნიერო ჯგუფმა დაასრულა საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა წარმოების პრაქტიკის შესწავლა. გამოიკვეთა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭიანურების ძირ-

ითადი მიზეზები, რომლებიც სხვადასხვა ხასიათისაა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსამართლეების მიერ საქმის მომზადების ინსტიტუტის უგულვებლყოფაა. საქმის სასამართლო განხილვისათვის წინასწარი მომზადების სტადია მთლიანად დაიყვანება მოსამზადებელ სხდომამდე.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაადასტურა, რომ უხეშად ირღვევა მთავარი სხდომის დანიშნვის წესიც. სასამართლო ისე ნიშნავს მთავარ სხდომას, რომ არ გამოაქვს განჩინება საქმის მომზადებულად ცნობის შესახებ. ხშირად მთავარ სხდომაზე ირკვევა, რომ საჭირო ყოფილა ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულება, რომელიც შეიძლება შესრულებულიყო ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე. ეს კი საქმის სხვა დროისათვის გადადების მიზეზი ხდება.

სამუშაო ჯგუფმა ასევე დაასკვნა, რომ მოსამართლეთა სწავლების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები და მეთოდები მოითხოვს საფუძვლიან ცვლილებას. სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, პრაქტიკის მოთხოვნების სრულად გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფის დასკვნით, აუცილებელია მუდმივი სემინარების მოწყობა რეგიონების მასშტაბით და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნა.

საქმის წარმოების შესწავლის პროცესში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას აღმოჩენილი პროცესუალური ნორმების დარღვევები დეტალურად არის ასახული ჯგუფის მიერ შემუშავებულ მასალაში, რომელიც გამოცემულია პრაქტიკული სახელმძღვანელოს სახით და შეიცავს მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ ანალიზს სასამართლო პრაქტიკის სრულყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

## **2.2 ორგანიზაციული მუშაობის შემონების შედეგები**

ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის შემონების შედეგებიც. უზენაეს სასამართლოსთან ერთად შემონებაში მონაწილეობდნენ საქართველოს იუსტიციის საბჭო და საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. უმოკლეს დროში შერჩევის პრინციპით შემონებულ იქნა 11 რაიონული და საქალაქო სასამართლო, მათ შორის, თბილისის რაიონული სასამართლოები. გარდა პროცესუალური ნორმების დარღვევისა, აშკარად გამოიკვეთა საერთო სასამართლოების ორგანიზაციულ მუშაობაში არსებული ხარვეზები, რაც გამოწვეულია საქმეთა არასწორი განაწილებით, მოსამართლეთა არათანაბარი დატვირთვითა და სხვა მრავალი ფაქტორით, რაც თავისთავად საქმეთა განხილვის ხარისხზეც ახდენს გავლენას. სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის შემონების შედეგად მომზადდა რიგი წინადადებებისა და რეკომენდაციების. სასამართლოთა ადმინისტრირების სისტემის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ერთ-ერთ წინადადებას თბილისის ერთიანი საქალაქო სასამართლოს შექმნა წარმოადგენს. საქალაქო სასამართლოს შექმნის უმთავრესი პრინციპი მოსამართლეთა სპეციალიზაციაა, რაც უმნიშვნელოვანესია თბილისის დღევანდელი სასამართლოების დატვირთვის გათვალისწინებით. საქალაქო სასამართლოში შეიქმნება სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განმხილველი კოლეგიები. წარმოდგენილი წინადადებით საქალაქო სასამართლოს მოდელი თბილისის რაიონული სასამართლოების აპარატის ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირების შესაძლებლობას იძლევა, რის საფუძველზეც ყოველგვარი დამატებითი ფინანსური ხარჯების გარეშე გაიზრდება მოსამართლეთა რაოდენობა. ნიშანდობლივია, რომ საქალაქო სასამართლო არ საჭიროებს სპეციალურ შენობას. საქალაქო სასამართლოს კოლეგიები ცალ-ცალკე განთავსდებიან თბილისის ყველაზე საუკეთესო სამ სასამართლო შენობაში, ხოლო გამოთავისუფლებული შენობების ხარჯზე მოხდება საქალაქო სასამართლოს თანამედროვე დონეზე მოწყობა. თბილისში ამით გადაწყდება საქმეთა გაჭიანურების, ბადრაგირების, განსჯადობის წესების დაცვით საქმეთა მოძრაობის და სასამართლო დარბაზებთან დაკავშირებული პრობლემები.

გარდა ცალკეული დარღვევებისა, შემონმების შედეგებმა გამოავლინა, რომ სასამართლო კორპუსი იშვიათად იყენებს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას გააკონტროლოს და გამოასწოროს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოკვლევის ან გამოძიების პროცესში დაშვებულ საკმაოდ უხემ დარღვევებზე ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლეები თავს იკავებენ კერძო განჩინებათა გამოტანისაგან, რაც შემდგომში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს რეაგირების საგანი ხდება. გარდა ამისა არ ხორციელდება კონტროლი კერძო განჩინებათა შესრულებაზე, რის გამოც, კერძო განჩინებების უმრავლესობა რეაგირების გარეშე რჩება, ხოლო ანალოგიური ხასიათის დარღვევები კვლავ მეორდება.

**2.3 იურიდიული ფაქტების დადგენასთან დაკავშირებული სასამართლო წარმოების პრობლემები**

სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისას განსაკუთრებით საინტერესოა აღმოჩნდა ისეთი კატეგორიის საქმეთა შესწავლა, რომლებიც, თავიანთი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების განხილვის საგანი თითქმის არასოდეს ხდება და პირველი ინსტანციის სასამართლოებშივე მთავრდება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა პრაქტიკის განზოგადების შედეგები. გასულ წელს უზენაეს სასამართლოში შესწავლილ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოების მიერ 1259 საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ, რომელთა უდიდესი ნაწილი, სამწუხაროდ, მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებას.

შესწავლილი პრაქტიკის მიხედვით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის დროს საქმის წარმოება (პროცესის კულტურა) უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია. ხშირია სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე განცხადებების წარმოებაში მიღებისა და განხილვის შემთხვევები.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები ადგენენ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს პირთა ფაქტობრივ ქორწინებაში ყოფნის თაობაზე. აღნიშნული კანონის უხემ დარღვევას წარმოადგენს, რადგან პირთა შორის ფაქტობრივი ქორწინების არსებობა არ წარმოადგენს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველს (სამოქ. კოდექსის 1151-ე მუხლი). ფაქტობრივი მეუღლე არც კანონისმიერი მემკვიდრის უფლებით სარგებლობს. ამიტომ სასამართლომ არ უნდა მიიღოს წარმოებაში მოქალაქეთა განცხადებები, ფაქტობრივი ქორწინების ფაქტის დადგენის თაობაზე. მით უფრო, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი საერთოდ არ ითვალისწინებს ქორწინებისა და განქორწინების იურიდიული ფაქტების დადგენას.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო სხვა ორგანოს კომპეტენციაში არსებულ საკითხებს იხილავს უდავო წარმოების წესით. მაგალითად, უდავო წარმოების წესით იხილავს მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის საკითხს მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად (1278-ე მუხლი), არასრულწლოვანი პირის მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა ეკისრება განათლების ადგილობრივ ორგანოს. სასამართლოები უდავო წარმოების წესით იხილავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირთა განცხადებებს სამენარმეო საზოგადოებათა სამართალმემკვიდრეობისა და უფლებამონაცვლეობის საკითხებზე, რაც კანონის უხემ დარღვევაა.

საქმების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ სასამართლოები, ზოგიერთ შემთხვევაში, კანონის უხემ დარღვევით ადგენენ ნივთზე საკუთრების უფლების არსებობის ფაქტს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენა ხორციელდება სასამართლოს მიერ, თუ განმცხადებელს ჰქონდა ნივთის ფლობის თაობაზე უფლებადამადასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ ეს დოკუმენტი დაკარგა და აღნიშ-

## სამართლებრივი ტანდენცია

ნული ფაქტი არ შეიძლება რომ დადასტურდეს, დამტკიცდეს არასასამართლო წესით. ამრიგად, სასამართლოს მიერ დგინდება არა საკუთრების უფლების, არამედ შესაბამისი დოკუმენტის არსებობის ფაქტი.

გარდა ამისა, სასამართლოების მიერ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენით განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, მუნიციპალიტეტის დადგენილების პუნქტის ბათილად ცნობა, გვარის გამოცვლა და გვარის მიკუთვნება, სამართალმემკვიდრედ (უფლებამონაცვლედ) ცნობა, რაც კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

სასამართლოები უდავო წარმოების წესით საქმეების განხილვისას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ:

- უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები;

- განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ სასამართლოს შეუძლია განიხილოს უდავო წარმოების წესით, თუ ფაქტის განხილვა არ არის დაკავშირებული სასამართლოსათვის ქვემდებარე უფლების შესახებ დავის შემდგომ გადაწყვეტასთან;

- სასამართლო უდავო წარმოების წესით განიხილავს საქმეებს (იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ), თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს.

აღსანიშნავია, რომ თუ სამოქალაქო საქმისწარმოებისა და საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის შემონებისას გამოვლენილი დარღვევები ხასიათდებოდა ძირითადად ობიექტური ფაქტორებით, რაც გამოწვეული იყო თვისობრივად განსხვავებული, სრულიად ახალი კანონმდებლობის მიღებით, რომლის გამოყენებასაც არ გააჩნდა ანალოგი ადრინდელ სასამართლო პრაქტიკაში, იურიდიული მნიშვნელობის შესახებ ფაქტების დადგენისას გამოვლენილი დარღვევების უმეტესობა ხასიათდება წმინდა სუბიექტური ფაქტორებით. ამ საქმეების შესწავლისას იკვეთება ზოგიერთი მოსამართლის პირადი დაინტერესება, ამიტომ ზემოაღნიშნული შემონებისაგან განსხვავებით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების განზოგადების მასალები უკვე ათეულობით მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი გახდა. ზოგიერთი მათგანი უკვე მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში.

### 2.4 გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

უკვე რამდენიმე წელია, ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ისინი აგრეთვე ვრცელდება ინტერნეტის საშუალებით, რაც მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დასტურია.

მიუხედავად ამისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლეები ამ გადაწყვეტილებებს არ ეცნობიან. საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საპროცესო, თუ მატერიალური სამართლის ნორმების უგულებელყოფა სისტემატურად ერთგვაროვან ხასიათს ატარებს. მაშინ, როცა მართლმსაჯულების ერთ-ერთი ამოცანა დღეისათვის სწორედ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებაა.

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატებმა ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად დაინყეს საკასაციო ინსტანციის სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ასევე გამოქვეყნდება და დაურიგდებათ მოსამართლეებს. აღნიშნული მასალები ძირითადად მოიცავს მატერიალური სამართლის ნორმების სწორად გამოყენების საკითხებს.

**2.5 მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი**

მართლმსაჯულების განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. 2001 წელს საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო საბჭოში განსახილველად შევიდა სულ 68 სადისციპლინო საქმე (57 მოსამართლის მიმართ), აქედან განხილულია 52 საქმე. 38 მოსამართლეს შეეფარდა სხვადასხვა სახის დისციპლინური სახდელი, კერძოდ: 20 მოსამართლეს მიეცა სარეკომენდაციო ბარათი, 22 მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებულ იქნა შენიშვნა, 8 მოსამართლეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო 3 მოსამართლეს მკაცრი საყვედური. 2 მოსამართლე გათავისუფლდა თანამდებობიდან. ამასთან, 1 მოსამართლის მიმართ მოიხსნა ბრალდება, ხოლო 2 მოსამართლე სადისციპლინო კოლეგიამ გაამართლა.

**3. საერთაშორისო თანამშრომლობა**

კვლავაც წარმატებული და ნაყოფიერია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან, მსოფლიო ბანკთან, სამართლებრივი განათლების ასოციაციასთან, ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ურთიერთობები. მათივე მხარდაჭერით უკვე რამდენიმე წელია გრძელდება მრავალ საინტერესო და სასარგებლო პროექტზე მუშაობა.

2001 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტის ლუციუს ვილდჰაბერის ვიზიტი საქართველოში.

2001 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლებას. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს მუშაობა მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების პროექტებზე. ამ მხრივ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების დახმარებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ეტაპობრივად გადიან სტაჟირებას გერმანიაში ახალი კანონმდებლობის სწორად გამოყენების მიზნით. შექმნილია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, სადაც წარმოებს სამართლებრივი საკითხების მუდმივი ანალიზი. პარალელურად ხორციელდება ანალოგიური პროცესები საერთო სასამართლოებშიც. მომავალში დაგეგმილია რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით მოსამართლეთათვის მუდმივი ტრენინგების ჩატარება.

**4. მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობა**

გასული წლის განმავლობაში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა თანამშრომლობა მასმედიასთან. ამ ხნის განმავლობაში მომზადდა ათეულობით ინტერვიუ საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან სასამართლო ხელისუფლების საქმიანობისა და მისი პრიორიტეტების შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა თითქმის ყველა ძირითად გაზეთსა და ჟურნალში. რეგულარულად ვრცელდება ინფორმაცია უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეთა შესახებ, რასაც აქტიურად იყენებენ არა მხოლოდ მასმედიის წარმომადგენლები, არამედ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. უზენაესმა სასამართლომ აკრედიტაცია გასცა სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე 35 ჟურნალისტზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენათა შორის უნდა ჩაითვალოს უზენაეს სასამართლოში „სამართლებრივი რეფორმის მედია ჯგუფის“ ჩამოყალიბება, რომელმაც სათავე დაუდო ახალ ეტაპს სასამართლო ხელისუფლებასა და მასმედიის წარმომადგენელთა ურთიერთობებში. მედია-ჯგუფი აერთიანებს 45-მდე წევრს, ძირითადად სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებსა და მოსამართლეებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

სასამართლო ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია 2001 წლის დეკემბერში გუდაურში ჟურნალისტებისა და მოსამართლეების მონაწილეობით ჩატარებული სემინარი სახელწოდებით „სასამართლო და მასმედია“.

**5. სასამართლოების ადმინისტრირება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები**

2001 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისათვის: სასამართლოების ადმინისტრირების საკითხებზე შემუშავდა სხვადასხვა დებულების პროექტი; მიღებულ იქნა დადგენილებები საქმისწარმოებისა და საპროცესო სამართალწარმოების დოკუმენტების ბეჭდური ფორმით წარმოების შესახებ; სამენარმოო რეესტრის მონაცემთა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში („საქართველოს საკანონმდებელი მაცნე“) გამოქვეყნების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ; სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟების აღრიცხვიანობისა და ამოღების კონტროლის გამკაცრების თაობაზე და სხვა.

ერთიანი ადმინისტრირების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ქმედითად გატარების მიზნით, დღის წესრიგში დადგა მმართველი მოსამართლის ინსტიტუტის ამოქმედება. მმართველი მოსამართლე გვევლინება კოორდინატორად შესაბამის რეგიონში, სასამართლოთა ადმინისტრირების ცალკეული მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად; იგი უფლებამოსილებებს ვერ განახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა კოლექციური თანადგომის გარეშე. მმართველმა მოსამართლემ სწორედ მათგან უნდა იცოდეს ის პრობლემები, რომლებიც გააჩნიათ სასამართლოებს, რის შემდეგაც იგი ვალდებულია ყველასათვის ერთიანი პრობლემატური საკითხი დააყენოს გადასაჭრელად შესაბამის ორგანოსთან. რაც შეეხება სასამართლოს უშუალო, მხოლოდ მის წინაშე მდგარ პრობლემას, ეს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის გადასაჭრელია.

მუდმივი განახლების პროცესშია სასამართლოების მატერიალური ბაზა. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჩატარდა: ქუთაისის საქალაქო, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, წყალტუბოს, ვანის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ხონის, წალკის, ლენტეხის, ახალგორის, თიანეთის, საგარეჯოს, ხაშურის, ადიგენის, ხობის, ბორჯომის, გარდაბნის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროსა და ქობულეთის სასამართლოებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2001 წლის განმავლობაში გატარებული შემდეგი ღონისძიებანი: - მსოფლიო ბანკის ხელშეწყობითა და დაფინანსებით გაიხსნა რუსთავის საქალაქო სამოდელი სასამართლო;

- შეიქმნა უზენაესი სასამართლოს, თბილისის საოლქო სასამართლოს და დეპარტამენტის ლოკალური კომპიუტერული ქსელები;

- ჩამოყალიბდა სასამართლო ფოსტის სამსახური;

- გრძელდება საერთო სასამართლოების ნორმატიული მასალით უზრუნველყოფა: მოსამართლეებს მიეწოდებათ ყველა საკანონმდებლო სიახლე.

მიუხედავად რიგი სირთულეებისა, 2001 წელი შეიძლება ნაყოფიერად ჩაითვალოს ეროვნული მართლმსაჯულებისათვის, რაც გვარწმუნებს სასამართლო რეფორმის წარმატებულობაში.